ტფილისი

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქცია შიაე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроеба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავს წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დღესასწაულის გამო ხვალ, პარასკევს, გაზეთი არ გამოვა.

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზედ“

1885 წლისათვის

თბილისში—„დროების“ რედაქციაში; ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში; ბათუმში—მოსე ნათაძესთან; თელავში—ვანო როსტომაშვილთან; გორში—ალალო თუთაევთან.

დაწვრილებით პირობები გაზეთის სათაურშია.

თბილისი, დეკემბრის 6-ს.

მოსკოვის სამოსამართლო პალატის ზალაში სწარმოებს ეხლა საქმე, რომელიც თან-და-თან თვალწინ გვიშლის სურათებს ჩვენის მამონის თაყვანის მცემელი ცხოვრებისას. მიყრუებულ ქალაქს სკოპინში არსებობდა საქალაქო ბანკი, რომელსაც ერთად ერთ უფროსად და გამგებლად ჰყვანდა ყოვლად ძლიერი, მაგრამ ყოვლად უმეცარი კაცი. ეს კაცი ეხლა ბრალდებულთა სკამზედა ჰზის და გვერდით უსხედან თავის თანამონაწილენი, რომელნიც ისე უთუმელად ასრულებდენ მის ბრძანებას, თუნდ ეს ბრძანება უკანონო ყოფილიყო, როგორც ვერ შეასრულებს დისციპლინაში გაწვრთნილი სალდათიცკი ბრძანებას თავის გენერლისას. ამ ბანკმა მიიღო სხვა-და-სხვა მიყრუებულ კუნჭულებიდამ თერთმეტ მილიონზედ მეტი ფული «შესანახავად» და ეხლა, იმის შემდეგ რაც რიკოვმა ცალის ხელით ხვეჭა და ხვეჭა ამ ბანკის კასიდამ და მეორე ხელით ხარჯა ცალკე ზომაზედ მეტად განცხრომით ცხოვრებაზედ, ცალკე „სულის მოსანანიებლად“ და „ქალაქის გასამშვენიერებლად“ თავშესაფარ სახლების და ყაზარმების აშენებაზედ,—ეს ბანკი გაკოტრებულია და მის გამგებელთ ბრალდებათ ყოველგვარი დანაშაულობა, რაც ბანკის გამგებელთ შეუძლიანთ ჩაიდინონ.

მართლაც, არავითარს სიყალბეს, არავითარს გაიძვერაობას აღარ ერიდებოდენ რიკოვი და მისნი ყურ-მოჭრილნი ყმანი, ოღონდ ერთხელ ჩადენილი ბოროტ-მოქმედება როგორმე დაემალათ და თან-და-თან უფრო-და-უფრო იფლიბოდენ სხვა-და-სხვა ბოროტ-მოქმედებაში. დიდი ხანი იყო, რაც ბანკი გაკოტრებულად უნდა ჩაეთვალათ, მაგრამ ყალბი ანგარიშების და ყალბი თამასუქების წყალობით მთელი ათი წელიწადი სული შეიმაგრეს და ამ ათი წლის განმავლობაში უხვად მოდიოდა «შესანახავად» ფული იმ კუთხეებიდამ, სადაც სკოპინის ბანკისაგან დაპირებული მეტი პროცენტი თვალებს უხვევდა უმეცარ ხალხს. იგი ჰგზავნიდა ამ შორეულ ბანკში ფულს მხოლოდ იმის იმედით, რომ რაკი ამ ბანკს მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება აქვს, სიყალბე და სიავკაცე იქ არ მოხერხდებაო.

თუმცა მთელი სკოპინის ქალაქი, მთელი რიაზანის გუბერნია და ზოგიერთნი მაღალ წოდების პირნიც მოსკოვში და პეტერბურგში შესყიდულნი ჰყავდა რიკოვს უბრალო თამასუქების განაღდებისა და «ბექშიშების» წყალობით, მაგრამ ათასში ერთი ჩნდებოდა იმისთანა, რომელიც ჰბედავდა ამ ბანკზედ ჩამოფარებული ფარდის ახდას და საქმის გარემოების გამოაშკარავებას. მაგრამ იგი რიკოვის ჯაშუშებს ვერ დაემალებოდა და თუ დაემართებოდა რამე, თავის გულწრფელობისთვის უნდა დაებრალებინა. ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ თუ ვისმე თავის თანამდებობა ძვირად უღირს, უნდა ევეროს ათას ვისმე, უნდა ყველას ხელში შემაცქერალი იყოს, ყველას აამოს. და რიკოვს ყველგან იმისთანა დამოკიდებულება ჰქონდა, რომ თავის მოწინააღმდეგეს ზღვის უფსკრულშიაც კი მოჰნახავდა და სამაგიეროს გადაუხდიდა: ან სამსახურიდამ დაათხოვნინებდა, ან თამასუქს აღარ გაუნაღდებდა, ან იხმარდა ერთ-ერთ სხვა საშუალებას, რომელნიც უხვადა ჰქონდა ხელში თავის თანამემამულეთა ყურ-მოჭრილობის წყალობით.

ამ გვარად რიკოვი, ნამდვილი წარმომადგენელი იმ ტიპისა, რომელიც ქველმოქმედებას და ცარცვა-გლეჯას ერთად ათავსებს, ბრძანებლობდა, ჰხვეჭდა, თავშესაფარებსა და ყაზარმებს აშენებდა და იმაზედ კი არა ჰფიქრობდა, რამდენის ქვრივ-ობლის ფული, მისდამი შესანახავად მინდობილი, იფლანგებოდა ამ გვარ „ოპერაციების“ დროს. ეხლა ამ ქვრივ-ობლებთ თავიანთ მანათზედ მარტო 10—20 კაპ. უნდა ირგუნონ, მხოლოდ იმიტომ რომ რიკოვი ყოვლად ძლიერი იყო და ძლიერებთან დაკავშირების მოხერხება იცოდა.

## შინაური ქრონიკა

— ქართული წარმოდგენიდამ, რომელიც გასულს პარასკევს იყო გამართული ადგილობრივ ფრანსიელების საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ, დარჩა წმინდა შემოსავალი 563 მან. 95 კაპ.

— პატივცემულს ჩვენს ისტორიკოსს ბ. დიმ. ბაქრაძეს, რომელიც თავის რედაქტორობით ჰბეჭდავს ვახუშტის ისტორიას, განუზრახავს ამ გამოცემისათვის ავტორის სურათის შოვნა. ამ აზრით წერილი მიუწერია მოსკოვში ერთის მწერლობის მოყვარესათვის, რომელსაც ბევრი უძებნია იქ თვით იმ სახლში, სადაც ვახუშტი სცხოვრობდა, იმის მემკვიდრესთანაც, მაგრამ ვერსად ვერ უპოვია. საბა-სულხან ორბელიანის სურათი პეტერბურგში იპოვეს, მეცნიერებათა აკადემიაში და შესაძლებელია, რომ ვახუშტის სურათიც პეტერბურგშივე შენახულიყოს. „ყველგან მოვსძებნი პეტერბურგშიაც და, იმედია, აღმოჩნდე-

«დროების» ფელეტონი, დეკემ. 6-ს

## საერო მიწის მფლობელობა ჩვენში

### უკანა და წინა მხარენი

(წერილი მეორე)

მეფე ირაკლი ლხინობდა სოფელ ჭოტორში,—ამბობს ერთი ხალხური გადმოცემა და თანამხლებელნი მისნი სადღეგრძელოებში იყვნენ გართულნიო. სხვათა შორის სავსე ჯიხვი მიაწოდეს თურმე ერთ მხლებელთაგანს თუშსა და სთხოვეს, რომ შეესვა მეფის სადღეგრძელო. «ღმერთო დიდებულო, შენა სწყალობდე მეფე ერეკლესა, ჩამოილოცა თუში, ნუ უმრავლებ ძეთა და ნურც გამოულევ ერთსა.» მხლებელნი განრისხებულიყვნენ—მეფეს კი ღიმილიერად ეთქვა:—«არა უშავს-რა, ეპატიება—თუშია და ბრიყვიაო.»—„ჰო, მე ბრიყვვარ, მეფევ, შენ ჭკვიან და კიდეც ამიტომ გაუბოძე წინა-მხარე ბებურიანთ და მაჩნაძეთა.“ სწორედ ამ ჭოტორიდგან დასავლეთის მხრივ იწყობა წინა-მხარეცა და უკანა-მხარეც, რომელნიც ერთმანეთისაგან იყოფიან ცივის მთებით. მშვენიერი წინა-მხარე, დასავლეთით ჭერამის ხევით გაყოფილი შიდა კახეთისაგან, დასცქერის დინჯ ალაზანს, უკანა-მხარე კი, დასავლეთით ჩაილურის ხევით განსაზღვრული გარე კახეთისაგან, დასცქერის მდ. იორს.

ზემოხსენებული გადმოცემა მოვიყვანე იმიტომ, რომ, ირაკლის დროს სახავს ხალხი სათემო წეს-წყობილების თუ დარღვევის მიზეზად არა, შესუსტების მიზეზად მაინც. ხალხი ამბობს, რომ ეს კუთხე მაშინ გადაიქცა საბატონოდაო. ბებურიანთ და მაჩნაძეთ აქ ქიზიყის მოურავნი—ანდრონიკაშვილებიც დართვიან, მერე აბხაზნი და აბაშიძენიც. მიწა, ტყე, წყალი კერძო საკუთრების საგნად გამხდარა...

ამ საუკუნის დასაწყისში და, თუ გნებავთ, სულ ამ ათისა და ოცის წლის წინადაც, სახემწიფო მამულები ურიგდებოდათ სხვა-და-სხვა გვარის წარმომადგენელთ, გავლენიან პირებს და თავადებს. მდ. ქციის ზემოდ თრიალეთამდის მთელი მხარე ჰმოწმობს ამას... ჩვენმა მემამულეებმა მაშინ ბევრი მამული იშოვეს და მაშინვე მიეჩვიენ მიწების დაგირავებას...

ერთის სიტყვით, ჩვენს დროში სხვათა შორის «ჩუქებას» და «დაჩემებას» ძალიან აურევ-დაურევია წესები საერო მფლობელობისა. ეს ორივე ელემენტი—ნელ-ნელა არღვევს და აპობს ამ ფორმას მფლობელობისას.

ამ სამწუხარო მოვლენას არ გადარჩენია უკანამხარეც, სადაც სათემო მფლობელობა ქვა-კუთხედს შეადგენს გლეხ-კაცის ყოფა-ცხოვრებისას. ყველაზე მოზრდილი სოფელი გახლავთ აქ ჯიმითი ოთხას კომლამდე მცხოვრებლებით. ჯერ შიგ სოფელშივე ყველა უბანს თავისი ვენახები საერთო ღობით აქვთ შემოზღუდული—თუ გატყდა ღობე ყველა თავის გასადევარს ჰღობავს—მერე გარშემო სახნავი მიწები შარა გზამდე იმ თავითვე უსაბლნიათ და დღესაც «საბლის» მიწებად იწოდებიან—თუმცა ეხლა გასაბლვა ბევრს კიდეც დავიწყებია. ბევრ ხნიერს კაცს შევხვდი აქ, რომელნიც პირდაპირ მეტყოდენ ხოლმე, რომ თორმეტ წელიწადში ერთხელ ვსაბლავდით ბექანბალის და შარა გზის ზემოდ მიწებსაო. ამათი თქმით, რამდენიც ჯიმითში ოჯახის თავი კაცი იყო, იმდენ ნაწილად ვსაბლავდით ამ მიწებსაო. ოჯახის უფროსს ახალო გასაბლვამდის გაყიდვაც შეეძლო, დაგირავებაც ამ წილში ნარგებ მიწებისა. ურწყაობის გამო აქაურ მიწას არ აპატიებენ, მაგრამ ავკარგი კი მოიპოვება მათ შორის—ამ განსხვავებას გასაბლვის დროს «საიმდაროთი», «საკანჭეთი» ასწორებდენ ხოლმე. დღეს ეს საბლის მიწები უფრო შეძლებულების ხელში ჩავარდნილა. მღვდლებს, დიაკვნებს და გარეშე პირთაც ახალი დროის შემოღებული შინა-

ბა სადმეო", სწერს ერთი მწერლობის მოყვარე ჩვენს ისტორიკოსს.

== მთავარ-მმართებელს კავკასიისას თ. დონდუკოვ-კორსაკოვს უთხოვნია 100,000 მან. მუსულმანთა კომლობრივ აღსაწერად, რაიცა საჭიროა ეხლა, რადგანაც საერთო სამხედრო გადასახადი იმათზედაც ვრცელდება. ამ საგნის შესახებ, როგორც «რუსკი კურიერი» ამბობს, სამხედრო მინისტრს ცალკე აზრი წარუდგენია სახელმწიფო საბჭოსათვის.

== მოგვყავს მოკლედ რამდენიმე ცნობანი ქუთაისის სამღვდელოთა კრებაზე გაზ. «მწყემსის» მე-23 №-დამ:

,,კრებაში მობრძანდა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გაბრიელი და დაწვრილებით მოელაპარაკა სამღვდელოების შეკრებილებას შესახებ საეკლესიო-სამრევლო სკოლების დაარსებისა. ყოვლად სამღვდელომ განუმარტა კრებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექმნება ამ საეკლესიო-სამრევლო სკოლებს ზნეობის გავრცელებაზე და დამყარებაზე ხალხში, გამოუცხადა კრებას, რომ მას განსაკუთრებითი ყურადღება ექმნება მიქცეული ყველა იმ პირებზე, ვინც იზრუნებს ამისთანა სკოლების დაარსებისათვის.

,,მეორე საგანი, რომელზედაც ყოვლად სამღვდელომ კრების ყურადღება მიაქცია, იყო ქართული საეკლესიო გალობის აღდგინება. ყოვლად სამღვდელომ უთხრა კრებას თბილისში ქართული საეკლესიო გალობის აღდგინებისათვის დაარსებული კომიტეტის მოქმედების ამბავი. მან უთხრა კრებას: ,,თბილისში არსებობდა ერთი საზოგადო კომიტეტი ქართული გალობის აღდგენისა, რომელიც ზრუნავდა გურული და ქართლური გალობათა კილოს აღდგინებას ნოტებზე გადაღებით. მაგრამ ალექსანდრე ეპისკოპოსმა მიიღო თავის თავზე ქართლური კილოს გალობის ნოტებზე გადაღება თავისი ხარჯით და იმერული კილოს გალობის აღდგინება ჩვენვე შემოგვატოვა. ამაზედ ექსარხოსისაგან მივიღე მე მოწერილობა, რომ აქ ჩვენ ცალკე კომიტეტი აღვირჩიოთ და ჩვენვე ვიზრუნოთ იმერული გალობის ნოტებზე გადაღებისათვის. მოიფიქრეთ ამ საგანზედ კარგად და დანიშნეთ კომიტეტი, რომ ამ საქმეს წაუძღვეს და ყველასთვის საგულისგულო საქმე აღსრულდეს."

,,ამ შეკრებილებას, განაგრძობს გაზეთი, სულ ოცი სხვა-და-სხვა კითხვა და საქმე ჰქონდა განსასჯელად და გარდასაწყვეტად. გალობის აღდგინების თაობაზე ბევრი სჯა და ლაპარაკი ჰქონდათ. ამ საქმეზე სჯის დროს მოწოდებული იყო ბ. ფილიმონ ქორიძეც, რომელმაც სამღვდელოებას გამოუცხადა თავისი აზრი გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ. კრებამ აღირჩია ექვსი სამღვდელო პირი კომიტეტის წევრებად ბლაღოჩინის მღვდლის დავით ღამბაშიძის თავს-მჯდომარეობით და მიანდო მათ ყოველივე ზრუნვა და მეცადინეობა იმერული კილოს გალობის ნოტებზე გადაღების შესახებ. ეხლა ამ კომიტეტის გამჭრიახობაზე არის გალობის საქმე დამოკიდებული. ყველას იმედი აქვს, რომ გალობის საქმე კარგად წავა...

,,შემდეგი კითხვა, ამბობს მეორე გაზეთი, რომელზედაც სჯა ჰქონდა სამღვდელოებას, იყო მომავალი წლის სასწავლებლის ხარჯის აღრიცხვის (CMѢTA) დამტკიცება. წინა წლებში თითქმის თორმეტი ათასი მანათი (12,000 მან.) უნდებოდა სასწავლებელს ხარჯად და ასე მტკიცდებოდა თითქმის ხარჯიც. მომავალის წლისთვის სასწავლებლის ხარჯად ნაჩვენები იყო თუთხმეტი ათას მანათზე კიდევ ცოტა მეტი (15,000 მ.) აი, რისთვის ემატებოდა ეს ხარჯი მომავალ წელში. წინედ ჩვენს სასწავლებელში ზედამხედველს გარდა თითქმის მასწავლებლებად სემინარიაში კურს-შესრულებულნი იყვნენ. ამ სემინარიელებს ჯამაგირიც ნაკლები ეძლეოდათ. ხოლო ბოლოს დროს, როდესაც აკადემიაში კურს-შესრულებულნი გამრავლდენ, მოითხოვეს, რომ ოთხ-კლასიან სასწავლებლებშიაც აკადემიაში კურს-შესრულებულნი დანიშნულიყვნენ მასწავლებლად. აკადემიელები ჯამაგირებსაც, რასაკვირველია, ბევრს თხოვენ.

,,ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ოთხი კლასის მაგიერ თოთხმეტი კლასი არის. ამ კლასებში ოთხ კლასს გარდა ყველა კლასები სამღვდელოების შესანახავია. მოსამზადებელ და სასწავლებლის პარალელურ კლასებში სამღვდელოებას მასწავლებლებად ჰყავდა სემინარიელები. შტატის ჯამაგირით სემინარიელებიც კმაყოფილნი იყვნენ და სამღვდელოებაც, მაგრამ ეხლა თხოულობენ, რომ პარალელურ განყოფილებაშიაც აკადემიელები დანიშნონ და სამღვდელოებას წინადადებას აძლევენ, რომ მათ ჯამაგირი მისცენ ზემოხსენებულის ანგარიშით. ამაზედ ჰქონდა წინადადება მიცემული იმერეთის სამღვდელოების დეპუტატებსაც ეხლა. სამღვდელოება ჯერ დღესაც სასწავლებლისათვის იხდის ყოველ წელს თორმეტ ათას მანათს. სემინარიის გასახსნელად ხაზინიდამ მიღებული შემწეობიდამ შეაქვს ნახევარი, ე. ი. ოც-და-ხუთი ათასი მანათი (25,000 მ.). ამის გამო სრულებით აღარ შეუძლია სამღვდელოებას, რომ კიდევ რაიმე ხარჯი მოიმატოს. კრებამ დაადგინა ამ კითხვაზე შემდეგი განაჩენი: ეთხოვოს მისს მაღალ ყოვლად-უსამღვდელოებას საქართველოს ექსარხოსს არხიეპისკოპოსს პავლეს, რომ მოხედოს ჩვენს უკიდურესს სიღარიბეს და სრული შემწეობის მიღებამდე ხაზინიდამ, მოგვეცეს ნება პარალელურ განყოფილებებში და მოსამზადებელ კლასებში სემინარიელები დარჩენ მასწავლებლად. და თუ მიუცილებელ[illegible] აკადემიელის დანიშვნა, იმათაც სემინარიელის ჯამაგირი დაენიშნოსთ."

== ,,ნოვ. ობოზ." სიტყვით, ერთს საფრანგეთის სავაჭრო ამხანაგობას დაუწყვია მატყლის ყიდვა სხვა-და-სხვა მატყლის პატრონთაგან. ფასს ბევრად უფრო მეტს იძლევა ეს კამპანია, ვიდრე ადგილობრივი ვაჭარი სომხები და თავის ხარჯით მართავს მაღაზიებს იმ ადგილებში, სადაც მატყლის წარმოება უფრო გავრცელებულია, რათა ამ მაღაზიებში გროვდებოდეს ყველა მატყლის პატრონთაგან მათი საქონელი კამპანიისათვის ერთბაშად მისაყიდავად. ვინც იცის, რა ზარალს აძლევენ მეცხვარეებს წვრილ-წვრილი ვაჭრები, რომელნიც სოფელ-სოფელ დადიან და ცოტ-ცოტაობით ყიდულობენ მატყლს, დაგვეთანხმება, რომ ამ გვარი მაღაზიების დამართვა სწორედ სარგებლობას მოუტანს მატყლის მეპატრონეთა. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ გვარს მდიდარს კამპანიას, როგორიც ზემოხსენებული კამპანიაა, შეუძლიან უცებ შემოფანტოს წვრილი და ღარიბი მეტოქენი დიდის ფასების მლევით და მერე თავად გაბატონდეს და ისეთი მაზანდა დასდოს მატყლს, როგორიც თავად მოუვა აზრად.

ამისათვის სასურველია, რომ ამ კამპანიას გარდა, სხვა კამპანიებიც გაჩნდენ მეტოქედ და ქვეყანას აცილონ მონოპოლიის სენი.

== ჩვენი ქალაქის გამგეობამ როგორც იქმნა მოათავა თბილისში წყლის გაყვანის საქმე. ფრანსიელი ინჟინერი ა. დიუმონი დასთანხმებულა გამგეობისაგან წარდგენილს შემდეგს პირობებზე: წყლის გაყვანა დაუჯდება ქალაქს 1,300,000 ფრანკი, ამ ჯამიდამ 2% ე. ი. 26,000 ფრ. მიეცემა დიუმონს, თვითონ-კი $2\frac{1}{2}$% თხოულობდა; გზის ხარჯად 10,000 ფრანკის მაგიერ, რომელსაც დიუმონი ითხოვდა, უნდა მიეცეს

---

ური ნასყიდობანიცა აქვს და თუ ვინმე ჩამორთმევას დაუპირებს მამულებისას, მიცემულ ფულის თხოვნას იწყებენ ხოლმე. ისეთი ყრილობა არ მოჰხდება ამ სოფელში, რომ ამ საბლის მიწების ხელმეორე გასაბელაზე არ იყოს ყაყანი, მაგრამ აწინდელ სოფლის ყრილობაში ყოველთვის მოახერხებენ ხოლმე ამ გვარი ყაყანი „ერისა აქციონ ხმად უდაბნოსა შინა". ვისაც თვალ-ყური უდევნებია ჩვენი ხალხის ყრილობათათვის შენიშნავდა, რომ ერის ყაყანსა და საქმის დაწყობას შუა დიდი საზღვარია... აწინდელი სოფლის მოხელენი კანონით ხორც-შესხმულნი ყრილობის წადილებისა—თავიანთ თანამდებობასაც ძლივს ასდიან და ყრილობისთვის ჯერ არა სცალიანთ...

სულ სხვა იყო უწინდელი სოფლის ნაცვალი, ანუ ქევხა. ჯიმითის ერთ ამ გვარ ნაცვალზე ნაამბობი ხალხის მიერ ცოტაოდნად გაგვაცნობს ამ ტიპს ძველებურის მოხელისას: —ნაცვალ ტურის ჰქონდა ძაან გაძლიერებული ოჯახიც და ბევრი ძმები-ძმისწულებიცა, მითხრეს — მაგრამ ეხლა რო რძლებმა სათავნო გაიჩინეს, მაშინ ვის შეეძლოესაო? ტურის ორმა რძალმა თურმე ერთი კალო თითონ გალეწეს, იშრომესო და საღამოზე გაათავეს და საკუთრებად შენახვა დააპირესო. ტური საღამოთი მხლებლებით დაბრუნდა შინაო და რძლების ამბავი რომ შეიტყო, იმწამს შეჰყარა მთელი უბანი, მერე დინჯად მივიდა გათავებულ პურზედ და დაუწყო მას შეუბრალებლივ ნიჩბით ლობეში თუ ჯაგებში გადაყრა, მინამ სულ არ მიფანტ-მოფანტაო. როგორ თუ რძალმა საკუთრება გაიჩინოს, ზარემ ყველა ოჯახიშვილებმა ცეცხლზე წყალი დავასხათ და ეხლავ გავიყარნეთო. შენ-ჩემობა ოჯახში არავინ გაბედოს ჩემს სამოხელოში. ოჯახში ყველა საერთოაო—ყვიროდა გაბრაზებული ნაცვალიო.

ეხლა სათემო პრინციპზე აშენებული სოფელი, ოჯახობა იშლება... ს. ჯიმითს, საბლო-მიწების ქვემოდ, ჰქონდათ სათემო დიდი მინდორი «ბადიაური». ამ მინდორზე ყოველ წელს სათიბსაც ჰყოფულამდენ, საძოვრადაც ამას ხმარობდენ და კიდევ იმდენი რჩებოდა, რომ ვისაც ჰსურდა და რამდენიც, იმდენს მოჰხნამდა; მაგრამ ერთმა გავლენიანმა პირმა თავისთვის შემოაყოლნინა. დიდი დავა ჰქონდათ ამაზე ჯიმითელებს... ეხლა ცოტა რამ-ღა დარჩათ აქ იმათ სათემოდ. ეხლა სოფელს იმაზე აქვს ხოლმე სჯა, რომ ეს სათემოდ დარჩომილი და საბლის მიწებიც სულ დაიყონ...

ს. ჯიმითს მინდორი წინ აქვს და ტყე უკან. უკანასკნელ დროში, როცა სახნავი შესცოტავებიათ, ტყეში ახოები გაუჩეხიათ. მაგრამ აქ შესანიშნავი ის არის, რომ დღესაც ბევრი ახო სათემოდ არის დარჩომილი. მომხდარა ეს ასე: ტყეში გაჩეხილ ახოს რვა და ათი წელიწადი კაი მოსავალი მოჰყავს, შემდეგ კი წლით ირეცხება და უნაყოფიერდება— მაშინ გამჩეხი თავს თუ დაანებებს, მიწა სათემოდა რჩება. ხოლო თუ უნდა, რომ საკუთრებად იქონიოს, უნდა შეაპატიოს და მაშინ ხელს არავინ ახლებს.

აქედამ ადვილად მიჰხვდებით სათემო მიწის შეპატიების ან სხვა რაიმე გაკეთების ადათსაც. თუ შეაპატიე სათემო მიწა—არ გართმევენ იმას იქამდის, მინამ შენ დანახარჯს არ აიყენებ. ივრის-ხეობაში ხშირად სათემოდ მინდორში ჰაობს გააშრობს ხოლმე რამდენიმე კომლი და ხვნას მიჰყოფს ხელს. ამაზე ისინი არავის ეკითხებ და დარწმუნებული არიან, რომ ან არავინ შეეცილება, მინამ თავის ზარალს არ აიყენებენ — თუ ამაზედ საჩივარი შესდგა, აწინდელი სოფლის «სუდიც» კი არ არღვევს ამ პრინციპს.

ჯიმითს გარდა უკანა-მხარეში ორი დიდი სოფელიც არის სათემო მფლობელობით: ყანდაურა და ქაკაბეთი. ეს ორივ სოფლები ამ საუკუნის დასაწყისში ყოფილან თარეშობის დროს დაწიოკებულნი და შემდეგ ისევ აქვე ნელ-ნელა გაშენებულან. სოფელ

7,000 ფრ. ქალაქის რჩევას დაუმტკიცებია ეს წინადადება გამგეობისა და ამ უკანასკნელს, როგორც ,,ნოვ. ობ.'' იწერება, უცნობებია ეს პირობანი ბ. დიუმონისთვის, რომელიც ემზადება თბილისისაკენ გამოსამგზავრებლადაო.

== გაზ. ,,კავკაზის'' სურამელი კორესპონდენტი უჩივის მდ. სურამზე ხიდის სიძველეს. ხიდი აგერ ჩაიმტვრევა სიდამპლისა გამო და სურამის ორის უბნის განშორებას ამ შემთხვევით შეიძლება სხვა უბედურებაც მოჰყვესო.

ამ დღეებში სურამს ჩასულა ადგილობრივი ბლაღოჩინი ასარჩევად კომიტეტისა, რომელმაც უნდა იღვაწოს მართლ-მადიდებელის ეკლესიის გადიდებისათვის, მაგრამ რით გადასწყდა საქმე, ჯერ არ ვიცითო.

ამ თვის 3-ს ძლიერს ქარს მოჰყვაო, იწერება კორესპონდენტი, ერთ ადლამდის თოვლი.

## წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო!

თქვენს პატივცემულს გაზეთს «დროება»-ში ამ დღეებში დაბეჭდილი იყო ბ. Ი. ბოგებაშვილის «საბაასო» ,,ნობათ''-ში დაბეჭდილის ბიბლიოგრაფიული წერილის პასუხად. (იხ. „დროება'' № 259 და 261)

ეს ,,საბაასო'' ჩემის აზრით, არ არღვევს ამ ბიბლიოგრაფიულ წერილში აღნიშნულს შენიშვნებსა; გარდა ამისა, ამ „საბაასო“-თი შეურაცხ-ყოფილს ვსცნობ, როგორც „ნობათი“-ს პატიოსან განზრახვებსა, აგრეთვე პირადად ჩემს თავსა. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, ბ. რედაქტორო, ადგილი მისცეთ შემდეგს, ბ. Ი. ბოგებაშვილისადმი მიმართულს, წინადადებას: საქმე რომ ნათლად გამოიკვლიოს, ამორჩეულ იქმნენ კეთილ-სვინიდისიანნი პირნი, რომელთაც განარჩიონ, როგორც ,,ნობათ''-ში დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული წერილი, აგრეთვე ბ. Ი. ბ-ლის ,,საბაასო''-ც და გადასწყვიტონ: ა) რამდენად საფუძვლიანად უარ-ჰყოფს უკანასკნელი პირველსა და ბ) რა უფლებით აძლევს ბ. Ი. ბოგებაშვილი თავის თავს ნებას უპატიურად იხსენიოს, როგორც ,,ნობათი''-ს სახელი, აგრეთვე ჩემიც. ყოველივე დადგინება ამ პირთა დაბეჭდილ უნდა იქმნეს თქვენს პატივცემულს გაზეთს ,,დროება''-ში.

თქვენი პატივის-მცემელი
ანდრ. ღულაძე
(რედაქტორი-გამომცემელი ჟურნალის ,,ნობათი''-სა)

ქრისტეშობისთვის 4-ს.

## რუსეთი

1882 წლის მაისში შეკრულის პირობის ძალით ოსმალეთს დაედვა ვალად 802,500,000 ფრანკი—სამხედრო დაკმაყოფილება რუსეთისა გასულის ომიანობის გამო. ამ ვალის გადასახდელად ოსმალეთის მთავრობამ გადასწყვიტა, რუსეთის თანხმობით, გადასდვას ყოველს წელს 350,000 ოსმ. ლირა. ამ პირობის ძალით მომავალს წელს რუსეთის მთავრობა მიიღებს 2,975,000 მან.

—

პოსტისა და ტელეგრაფის უმაღლესმა სამმართველომ შეიმუშავა ახალი წესდება დეპეშების გაგზავნის თაობაზედ. ახალის წესდების ძალით 1) ყველა საფოსტო უწყებათა მიენიჭათ უფლება სამსახურის შესახების დეპეშათა უფასოდ გაგზავნისა; 2) ხსენებულის უფლებებით შეუძლიანთ ისარგებლონ საფოსტო დაწესებულებათა უფროსებმა მხოლოდ მიუცილებელის საჭიროების დროს და ამასთანავე უნდა ეცადონ, რაც შეიძლება მარტივად იქმნას შედგენილი ტელეგრამა. 3) შინაგან კორესპონდენციის კერძო ტელეგრამების გადაცემის დროს, საფოსტო დაწესებულებებში შესანახავად მოკითხვამდის ანუ ფოსტით და ან ესტაფეტით გასაგზავნად წინადადებაა შემოღებულ იქმნას შემდეგი წესი: ა) თუ კერძო ტელეგრამა გადაეცემა შესანახავად ადგილობრივ საფოსტო დაწესებულებას, შენახვისთვის ფული არ უნდა გადახდეს, რადგან ამიერიდამ ტელეგრაფისა და ფოსტის დაწესებულებანი შეადგენენ ერთს უწყებას; ბ) თუ რომ კერძო ტელეგრამა უნდა გაიგზავნოს ფოსტით ან ესტაფეტით ისეთს მხარეს, საითაც ტელეგრაფი არ არის გაყვანილი, ამ შემთხვევაში, ფოსტით გაგზავნისათვის ტელეგრამაზე გადახდება 7 კაპ. (თუნდ ეს ტელეგრამა იმ ფოსტის დაწესებულებამიაც უნდა იქმნას შენახული, სადაც მეორე ამგვარი დაწესებულება გაგზავნის), ესტაფეტით გაგზავნის დროს, თუ ტელეგრამის ფასი მანათზე ნაკლებია, ტელეგრამა გაიგზავნება და დანარჩენი ხარჯი ადრესატს გადახდება, თუ მანათზე მეტი ღირს ტელეგრამა, მაშინ ის დაუბრუნდება გამგზავნელს მიზეზის ახსნით; 4) ხალხთა შორის კორესპონდენციების კერძო ტელეგრამების გადაცემაზე იგივე წესები იქმნება, რა წესებიც შინაგან კორესპონდენციების ტელეგრამებზეა. 5) იმ ადგილებში, სადაც არ არსებობს ტელეგრაფის სტანციები, ტელეგრამები მიღებულ უნდა იქმნენ საფოსტო დაწესებულებებში და აქედამ გადაცემული იმ დაწესებულებაში, საიდამაც გაყვანილია ტელეგრაფი, რომ აქედამ დანიშნულს ადგილზე იქმნას გაგზავნილი. ეს წესები ამ წლის დეკემბრის თვიდამ არიან შემოღებულნი.

—

საექიმო დეპარტამენტის დირექტორის განკარგულებით რუსეთში აღებულ-იქმნა კარანტინები, რადგან ევროპაში ხოლერა მოისპო.

## ტელეგრამები

(,,ჩრდილოეთის სააგენტოსი'')

დეკემბრის 5.

პეტერბურგი. დღეს დილის 4-ს საათზე სამის საათის მოლაპარაკების შემდეგ ნაფიცთ გამოიტანეს განჩინება სარა ბეკერის მკვლელობის შესახებ. დამნაშავედ არიან ცნობილნი: მირონოვიჩი—გაცხარების დროს მკვლელობის მოხდენაში, სემენოვისა—მკვლელობის დაფარვაში, 300 მანათამდის გაფლანგვაში, ავ-კაცობაში და ხუთ-ჯერ ქურდობაში, მაგრამ ყველა ამ დანაშაულობას ჭკუაზედ შემცდარობის გამო სჩადიოდა, ბეზაკი—მკვლელობის დაფარვაში, გაფლანგვაში, ბოროტ-მოქმედებაში და ორს ქურდობაში. ამ ბრალდების გამო სასამართლომ დაადგინა: მირონოვიჩს და ბეზაკს ყოველივე ღირსება ჩამოერთავს. მირონოვიჩი გაიგზავნოს კატორგაში შვიდის წლით, და ბეზაკი ციმბირის განაპირე ადგილებში დასასახლებლად: სემენოვისა გაამართლეს.

გაზეთები იწერებიან, რომ მომავალის წლის დამდეგიდამ, სასმელების კომისიის შრომათა მიხედვით, წინადადება შემოღებულ იქმნას ზომები სასმელების ვაჭრობის წარმატებისათვის სოფლებში და დაბებში.

პარიჟი. ფრანციელებმა მიიწიეს ფორმოზისაკენ, საიდამაც განდევ-

---

ქაკაბეთში ეხლა სამასი მეკომურია, წინედ კი ეს უზარ-მაზარი სოფელი ყოფილა—ექვსი სანაცვლო, როგორც ეხლა იტყვიან ხოლმე მოხუცნი. აუარებელი ნანგრევებიც ჰმოწმობენ ამას. ასე გასინჯეთ ფორუმიც კი ჰქონია ხალხს. ეს ფორუმი გახლავთ გადასწორებული დიდი სერი, რომლის კენწეროც ეხლაც წარმოადგენს მშვენიერ ვაკეს და გადმოსაძახს. კენწეროდგან ორ-საჟენ დაბლა არის ფერდი გორაკასი შემოსწორებული მრგვალ ბალკონივით — ამას ხალხი «ტახტის მუხადა»—უწოდებს... აქ იკრიფებოდა თურმე ეს ექვსი ნაცვალი თავის ხალხით. კენწეროზე ადიოდა ის, ვისაც რომ სათქმელი ჰქონდა ხალხისთვის, ხალხი კი კენწეროს ძირს ირგვლივ იყო შეკრებილი — აქ იწყობოდა სათემო მამულებზე საქმე—აქ სწყდებოდა საქმე სახალხო, საოჯახო. ასე ამბობს ხალხი. აკლების შემდეგ, რომ ხალხი ისევ ნელ-ნელა სახლდებოდა, თავის გასადევარს ეზოდ თუ სახნავად, თუ ვენახად, ვინც რამდენსაც ისურვებდა, იმდენს შემოიზღუდავდა თურმე. ერთმანეთს, მიწის სიუხვის გამო, არ ეცილებოდენ. სამოცი წლის გადაცილებულნი მოხუცნი მიამბობდენ, რომ მათ ხსოვნაში ქაკაბეთში სამოცი კომლი იყო და გაუსაზღვრავად, გაუმიჯნავად, ვისაც რამდენი ჰქონდა შემოფარგლული, ისე უდავოდ ეჭირა ეს სოფლის ახლო-მახლო. მხოლოდ სოფლის განაპირები იყო სათემო საძოვარი. დიდ-ძალი საქონელიც ჰყოლიათ მაშინ—ოჯახი არ იყო, სამოცი კამეჩი არა ჰყოლოდათ, იტყვიან ხოლმე მომსწრენი—ოჯახებიც ისეთი დიდი, რომ თითო ასი სულისაგან შესდგებოდათ. ეხლაც საქონლის მოშენებას ძალიან მისდევენ კაკაბელნი, მაგრამ დიდ ოჯახებს ათამდის ძლივღა მოსთვლით—ესენი დღესაც შეძლებულნი არიან, რადგან სათემო მინდორში ოჯახობით შრომა არის სარგებლიანი და ზედ-შეფერებული. თითო მათგანი ათ-ათს და თორმეტ-თორმეტ თუმანს იხდის საკომლოს. ეხლა დაჩემებული მამულები არავისთვის ჩამოურთმევიათ, მაგრამ, იმათ გარდა, ზოგი დასაბლულიც არის და უფრო მომეტებული ნაწილი მინდვრისა სათემოა, სადაც ვისაც რამდენი უნდა, იმდენს მოჰხნავს. სათიბიც საერთოდ აქვთ ხოლმე—ყოველ-წლობით ერთ ალაგს და, სიცოტავის გამო, გათიბვის დროს საბლებით ყველას თავის წილს მიუზომვენ ხოლმე გასათიბად. წილი მუშა კაცზეა დადებული.

ყანდაურზედაც ისევე ითქმის, რაც ქაკაბეთზე ვსთქვი...

როგორც ქაკაბეთი, ისე ყანდაურა ხშირად მოილაპარაკებს ხოლმე გარეშემო და სოფლის ახლო მიწების ჩამორთმევაზე ყველასაგან და გასაბვლაზე ვადით. ხოლო დანარჩენთ შესახებ გადასწყვეტს ხოლმე, რომ ისინი სათემოდ დარჩნენო, მაგრამ მეჩახმახენი ათასნაირ ხმებსა ჰყრიან და ხელს უშლიან ხალხს, რადგან სოფლის ახლო-მახლო რაც კაი მიწებია, იმათ უჭირავთ...

საქონელს აქ ყველგან, რამდენიც გინდა, იმდენს შეინახავ. ყრილობა გადასწყვეტს ხოლმე მარტო: ლორი როდის შევიდეს ნაყანობებში, ძროხა—ნასიმინდრებში, ხოლო ვისი რამდენი, ამას არავინ ჰკითხულობს, რადგან ვინც მეტ საქონელს იყოლიებს, ის მდიდრად ითვლება და ხარჯსაც ბევრს ეწევა.

საცა საერო მიწის მფლობელობაა, იქ ხალხის ყრილობანი უფრო განცხოველებულნი არიან დღესაც—სასოფლო კაცები მეტნი არიან—დიდი და მდიდარი ოჯახები ბევრნი. წინამხარში, საცა მოისპობილა ეს ფორმა—მცირე გუნდს ხალხისას დუქნებწინ თუ ჰნახამ; ამაყს, სოფლისთვიი თავგამოდებულ გლეხს ვერ შეჰხვდები—მდიდარ ოჯახებს ძალიან იშვიათად და ხალხს, სილარიბის გარდა, დაჩაგრულობასაც ატყობ...

მაქრო.

ნეს ჩინელები. ორასი კაცი დაიჭრა და მოკვდა.

**ქაირო.** გორდონმა ააფეთქა აჯანყებულთაგან დაჭერილი სიმაგრე ომბერმანი. გორდონი კარგს მდგომარეობაშია.

## ცნობანი

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი მერმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შველავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი,** ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა,** სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი,** ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა,** სამშაბათობით.

**ბაგინოვისა,** ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა,** ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა.** ხუთშაბათობით და კვირაობით.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 დეკემბრიდამ 16 დეკემბრამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აჯარის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 6 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 7 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 7 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 6 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

# განცხადებანი

**ოდესიდამ მოსულს მასწავლებელს ქალს მუსიკისას,** შტორხის მეთოდით სურს მისცეს გაკვეთილები.

ადრესი: „ელბურის“ სასტუმრო.

(4—2)

0000000000000000000000000000

**რ ე ვ ე უ ლ ე ბ ი**

**ქ**ართველი წერისათვის, სახმარებელი მოგებაშვილის დედანთან, იყიდება მრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და სარქისოვისაში. ფასი რვეულისა (ორ-თაბახ ნახევარი, ყდის გარდა) ერთი შაური. (5—1)

0000000000000000000000000000

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| მეადარეთ ჩვენი ჩაი | | მოსკოვის ჩაის | |
|---|---|---|---|
| | 1 მ. 10 კ. | | 1 მ. 40 კ. |
| — — | 1—20 | — — | 1—60 |
| — — | 1—40 | — — | 1—80 |
| — — | 1—60 | — — | 2—,, |
| — — | 1—80 | — 2 | —50 |
| საუკეთესო | 2—,, | — 3 | —,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, მოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკაწინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—51)

## ჟურნალი „ნობათი“-ს გამოცემა 1885 წელში.

(წელიწადი მეორე)

საყოველთაო ყრმათა საკითხავი სურათებიანი ჟურნალი

# „ნ ო ბ ა თ ი“

პედაგოგიურის ნაწილის დამატებით—მშობელთა და აღმზრდელთათვის—მომავალს 1885 წელში გამოვა იმავე პროგრამით, მიმართულებითა და სივრცით, როგორათაც 1884 წ.

**ჟურნალზე ხელის-მოწერა.** წლიური ფასი ჟურნალი «ნობათი»-სა—ქალაქში დარიგებით და გარეშე გაგზავნით, დარჩა იგივე, ე. ი. ოთხი მან. მარტო ნახევარი წლის ხელის-მოწერა არ მიიღება. ცალკე ნომერი ღირს ათი შაური.

სოფლის მასწავლებელთ შეუძლიათ გამოგზავნონ: თავ-და-პირველად ორი მან. და დანარჩენი ორი მანათიც—მაისში. რომელთაც ამ რიგად ხელის-მოწერა ჰსურთ, პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

**ხელის-მოწერა** მიიღება: თბილისში—ჟურნალი «ნობათი»-ს რედაქციაში, ალექსანდროვის ბაღთან, ხაზინის გვერდით, თუმანიშვილების სახლში № 7 და შავერდოვის წიგნის საგენტოში. ქუთაისში—ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში—მკ. ფურცელაძესთან და თელავში—ივ როსტომაშვილთან.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати“.*

(5—3) რედაქტორი-გამომცემელი ა. ს. ღულაძე.

ახლად გახსნილი საწყობი

**პ უ რ ი ს ს პ ი რ ტ ი ს**

და

დაწმენდილი არაყისა

კანტორა ვლადიკავკაზის სვიატო-ტროიცკის არაყის ქარხნისა შთამოკავლობითი საპატიო მოქალაქეთა ივანე ადამის ძის **ფორაქოვისა** და დავით ადამის ძის **სარაჯოვისა** ამით აცხადებს, რომ ოქტომბრის 1-დამ გაიხსნა სანარდო საწყობი პურის სპირტისა და დაწმენდილი არაყისა ქ. თბილისში, თამამშოვის ქარვასლაში, ერევნის მოედანზედ, ალექსოვის კანტორის გვერდით.

საწყობში არის მრავალ-გვარი პურის სპირტი: კონჟაკისა, ლაკისა, ლიკიორისა და აბსოლიუტური ალკოჰოლი; აგრეთვე არაყები: დაწმენდილი, სასუფრო, დისტილატი და სამეფო არაყი საუკეთესო თვისებისა. სპირტი და დაწმენდილი არაყი ამ საწყობისა ისყიდება თვით **დეპოში, დ. სარაჯოვის დიდს ახალს სახლებში** და ყოველ თბილისელ ცნობილ ვაჭრებთან. ჭურჭლეთა ერთ-ვედროიანი, $^1/_2$ ვედროიანი, $^1/_{10}$, $^1/_{16}$, $^1/_{20}$, და $^1/_{40}$-ვედროიანი, ეტიკეტით და საწყობის ბეჭდით. «მარკა»: „Владикавказскій Свято-Троицкій вино-куренный заводъ изъ Тифлисскаго оптоваго склада“. ამავე ადგილებში გაიყიდება სპირტი და არაყები წვრილ-წვრილად 3 ვედრომდე 1, $^1/_2$, და $^1/_4$-ვედროიანი ჭურჭლით საწყობის ფასზედ.

ფასები საზოგადოდ ზომიერია; შემოკვეთილს სპირტს და არაყებს საწყობი თითონ ჩააბარებს შემომკვეთელს მოცემული ადრესით.

ქალაქს-გარეშელთ უნდა თავიანთი მოთხოვნილება შემდეგის ადრესით გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ, въ оптовой складъ хлѣбнаго спирта Ив. Ад. Поракова и Дав. Зах. Сараджева, на Эриванской площади, №1. (15—3)

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმენდად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, საგარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ჩემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, კრავები, საქიმო ქაღალდი კატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—25)

*Доз. ценз. Тифлисъ, 5 Декабря 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.